საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
Agricultural University of Georgia
www.agruni.edu.ge

№ 15-08/211 05.02.2016

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
15505
030189954852714

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროს
სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების
სააგენტოს უფროსს, ბატონ გიორგი თვალავაძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში 2015 წლის 10 დეკემბრიდან მიმდინარეობს რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (RNSF№04/43) და აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF Global) A60617 გრანტი „ბაქტერიოფაგებისა და მემბრანული სეპარაციის შესახებ არსებული ცოდნის ინტეგრაცია წყლის მიკრობიოლოგიური უსაფრთხოებისთვის".

აღნიშნული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში უნივერსიტეტმა უნდა განახორციელოს გრანტის კოლაბორატორი – მიჩიგანის უნივერსიტეტის (Michigan State University – MSU) მიერ პროექტის ფარგლებში შეძენილი დნმ–ის სექვენირების ნაკრების ჩამოტანა ამერიკის შეერთებული შტატებიდან თბილისში.

ამჟამად, პროექტის ფარგლებში სამეცნიერო კვლევის ჩასატარებლად, ჩვენს მიერ შერჩეულ იქნა და დონორის მიერ შეძენილია დნმ–ის სექვენირებისთვის საჭირო შემდეგი საქონელი:

1. FC-121-4002 – TruSeq® ნანო DNA LT ბიბლიოთეკის შემადგენელი ნაკრები Kit - Set B (24 ნიმუშისთვის). მომწოდებელი Illumina Inc., აშშ, საერთო ფასით 669.60 აშშ დოლარი;
2. MS-102-2003– MiSeq® რეაგენტების ნაკრები Kit v2 (500 ციკლისთვის) - მომწოდებელი Illumina Inc., აშშ, საერთო ფასით 1,023.00 აშშ დოლარი;
3. FC-121-4001 – TruSeq® ნანო DNA LT ბიბლიოთეკის შემადგენელი ნაკრები - Set A (24 ნიმუშისთვის) მომწოდებელი Illumina Inc., აშშ, საერთო ფასით 669.60 აშშ დოლარი;

შეძენილი ლაბორატორიული მასალები უმოკლეს პერიოდში გამოგზავნილ იქნება თბილისში და საჭიროებს უმოკლეს ვადაში განბაჟებას. შესყიდული საქონლის პროფორმა ინვოისის ასლი წერილს თან ახლავს.

3208 11.02.2016

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტები და უმოკლეს დროში შეგვატყობინოთ რამდენად საჭიროებს აღნიშნული საქონელი რეგისტრაციას.

პატივისცემით,

მინდობილი პირი

ზვიად ჭეიშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი
N 160074815

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
№ 15305
11.02.2016